Municipality of Akhaltsikhe Digitally signed by Municipality of Akhaltsikhe Date: 2021.02.12 16:31:52 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი 61105

ქ. ახალციხე „9“ დეკემბერი 2021 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის (ს/კ 224101317) მერის 2021 წლის 20 იანვრის № ბ12.12210201 ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები და მეორეს მხრივ შპს ,,ცენტრ ლაინი“-ს (ს/კ 224091701) დირექტორი ნუგზარი მაისურაძე ვადასტურებთ, რომ თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულსა და შპს ,,ცენტრ ლაინი“-ს შორის დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 28 თებერვლის №55 ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,ქრიზოლითი+“-ს მიერ განხორციელდა ,,ქალაქ ახალციხეში, მერაბ კოსტავას და ზურაბ დიდიმამიშვილის ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები“-ს დასრულებული ობიექტის ინსპექტირება, მათი დასკვნის შესაბამისად ობიექტზე ხარვეზები არ გამოვლენილა.

2020 წლის 28 თებერვლის №55 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ექვემდებარება დაკავებული ხარისხის კონტროლის თანხის პირველი 2,5%-ის 5173,61 (ხუთიათას ასსამოცდაცამეტი ლარი და 61 თეთრი) ლარის ანაზღაურებას.

აღნიშნულს ვადასტურებთ ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (კომპეტენციის ფარგლებში) და შპს ,,ცენტრ ლაინი“-ს დირექტორი ნუგზარი მაისურაძე ხელმოწერით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წინამდებარე კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მხარეებს პრეტენზიები არ გაგვაჩნია

კომისიის თავმჯდომარე-
ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე - გურამი მელიქიძე

მიღება-ჩაბარების კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე- ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - იოსებ კაპანაძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - გელა ლომიძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების
ხელმძღვანელი - სტეფანე კაჭკაჭაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი - ილია ზარდიაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის მრჩეველი ინფრასტრუქტურულ საკითხებში - გელვასი გელაძე

შპს ,,ცენტრ ლაინი“-ს დირექტორი - ნუგზარი მაისურაძე

GEORGIA • 224091701 • „ცენტრ ლაინ“ შპს

ქრიზოლითი+	**შპს „ქრიზოლითი +“** **A-ტიპის ინსპექტირების ორგანო** თბილისი 0105, შ. დადიანის ქ. №24ა(იურიდიული) თბილისი, ს. ცინცაძის №11 (ფაქტიური) ელ. ფოსტა: khrizolitiplus@gmail.com	საქ GAC სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 GAC-IB-0301
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013. აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0301		

ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიში №QRT/IB-A2-20-18AXC

1. **შედგენის თარიღი:** 04.10.2020 წ.

2. **შევადგინე ზედამხედველობის ინსპექტორმა:** ე. მღებრიშვილმა
   სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი,
   მუშაობის 30 წლიანი სტაჟით.

3. **განაცხადი:** 06.03.2020 N1116/07 **ხელშეკრულება:** N254 27.08.2019 წ.

4. **დამკვეთის დასახელება:** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია.

5. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, ზურაბ დიდიმამიშვილის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა.

6. **ინსპექტირების ამოცანა:** ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, ზურაბ დიდიმამიშვილის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების განხორციელება.

7. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

ზედამხედველობის ინსპექტორი: /ე. მღებრიშვილი/

შპს ქრიზოლითი ზედამხედველობა 404474065 ინსპ./ექსპ. №1 KHRIZOLIT LTD

8. წარმოდგენილი დოკუმენტები:

- 2020 წლის 28 თებერვალს გაფორმებული № 55 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ღირებულებით 223999,78 (ორასოცდასამი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 78 თეთრი) ლარი დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით (ტენდერი № NAT200000082), ელექტრონულად შტამპდასმული ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის და ელექტრონულად ხელმოწერილი შპს „ცენტრ ლაინი"-ს დირექტორის ნუგზარი მაისურაძეს მიერ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, ზურაბ დიდიმამიშვილის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 223999,78 (ორასოცდასამი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 78 თეთრი) ლარი დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით;
- 27.07.2020 წ. სახელშეკრულებო შეთანხმება N1 ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს შპს „ცენტრ ლაინი"-ს შორის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 223999,51 (ორასოცდასამი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 51 თეთრი) ლარი, დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით, ასევე სამუშაოების ვადის გაზრდაზე, 2020 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით;
- 27.08.2020 წ. სახელშეკრულებო შეთანხმება N2 ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ცენტრ ლაინი"-ს შორის სამუშაოების ვადის გაზრდაზე, 2020 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით;
- 17.09.2020 წ. სახელშეკრულებო შეთანხმება N 3 ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ცენტრ ლაინი"-ს შორის ხარჯთაღრიცხვის კორექტირებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 219203,63 (ორასცხრამეტი ათას ორასსამი ლარი და 63 თეთრი) ლარი, დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით, ასევე სამუშაოების ვადის გაზრდაზე, სამუშაოების წარმოების ვადა განესაზღვრა 2020 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, ელექტრონულად ხელმოწერილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის და შპს „ცენტრ ლაინი"-ის დირექტორის ნუგზარი მაისურაძეს მიერ;
- კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 219203,63 (ორასცხრამეტი ათას ორასსამი ლარი და 63 თეთრი) ლარი, დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით;
- საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული შპს „მ-პროექტი"-ს მიერ;
- პირველადი გეგმა-გრაფიკი 27.07.2020 წლის ჩათვლით;
- 2020 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით კორექტირებული გეგმა-გრაფიკი;
- 2020 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით კორექტირებული გეგმა-გრაფიკი;
- 2020 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით კორექტირებული გეგმა-გრაფიკი.

შპს ქრიზოლითი ზედამხედველობა 404474065 ინსპ./ექსპ. №1 KHRIZOLIT LTD

9. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძის 2020 წლის 6 მარტის N1116/07 წერილის თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, ზურაბ დიდიმამიშვილის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე შპს „ქრიზოლითი +"-ს ზედამხედველობის ინსპექტორმა ე. მღებრიშვილმა განვახორციელე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება, რომლის ღირებულება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შეადგენს 223999,78 (ორას ოცდასამი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 78 თეთრი) ლარს დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით.

2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული N3 შეთანხმების საფუძველზე, საპროექტოსთან შეთანხმებით, ხარჯთაღრიცხვამ განიცადა კორექტირება (დაკორექტირდა მოცულობები კეძოდ: მოხდა ცვლილება ტროტუარებსა და სკვერში ბორდიურების და დეკორატიული ქვაფენილის მოწყობაზე, მოეწყო ახალი რკ. ბეტონის კედელი დიდიმამიშვილის ქუჩის მიმდებარედ „პოლიკლინიკასთან", მოხდა განათების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ცვლილება, ასევე შეიცვალა სარწყავი სისტემა, ელექტრონულად მართვის ნაცვლად მოეწყო მექანიკური წესით მართვა, მოხდა თამარ მეფის ძეგლის პოდსტამენტის დემონტაჟი და ხელახლა მოწყობა ახალი ტრავენტინის ფილით, დაემატა ა/ბეტონის საფარი ტროტუარის გასწვრივ. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა სამშენებლო, ტერიტორიის განათების სამუშაოები და ტროტუარების მოწყობა ბეტონის დეკორატიული ფილებით, ხოლო შემცირდა სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები და გაუთვალისწინებელი ხარჯები), რომლის შედეგად მისმა ჯამურმა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 219203,63 (ორასცხრამეტი ათას ორას სამი ლარი და 63 თეთრი) ლარი, დარიცხვების და დღგ-ს გათვალისწინებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, ზურაბ დიდიმამიშვილის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოების შესრულებაზე:

- ამორტიზირებული ა. ბეტონის საფარის და საფუძვლის მოხსნა;
- არსებული დაზიანებული დეკორატიული ფილის და ბაზალტის ფილის დემონტაჟი;
- არსებული ბეტონის საფარის დემონტაჟი;
- სამშენებლო ნაგვის დატვირთვა გატანა ნაყარში;
- შემასწორებელი ფენის მოწყობა ძირზე ფრაქციული ღორღით;
- საფუძვლის ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღის და ცემენტის დანამატით;
- ტროტუარის და სკვერის მოწყობა ბეტონის დეკორატიული (ბდგ) ფილით;
- გრანიტის და ტრავენტინის მოხვეწილი ფილის მოწყობა;
- კედლის მოწყობა რკ.ბეტონით (დიდიმამიშვილის ქუჩის მიმდებარედ „პოლიკლინიკასთან");
- დეკორატიული ბაზალტის რელიეფური ზედაპირის (გვერდის) ფილების მოწყობა კედელზე 7სმ.;
- დეკორატიული ბაზალტის ფილის მოწყობა კედლის (ქუდის) ზედაპირზე 8სმ;
- ბაზალტის 15*30 ბორდიურის მოწყობა ბეტონის საფუძველზე;

- ბაზალტის 10*20 ბორდიურის მოწყობა ბეტონის საფუძველზე;
- გრუნტის გათხრა ხელით გარე განათების კაბელის მოსაწყობად;
- 4*16მმ2 კაბელის მოწყობა თხრილში გოფრირებულ მილში გატარებით;
- 3*2,5მმ2 ელ სადენის მოწყობა; დეკორატიული ლითონის სანათების მოწყობა ბეტონის საფუძველზე;
- გრუნტის გათხრა ხელით სარწყავი სისტემის მოსაწყობად;
- სარწყავი სისტემის მოწყობა პლასტმასის სხვადასხვა დიამეტრის მილებით;
- წყალსადენის ბეტონის ჭის მოწყობა;
- გაფრქვევის საფხვეველის მოწყობა;
- სარწყავი სისტემის ტუმბოების მოწყობა;
- ა/ბეტონის საფარის მოწყობა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ცენტრ ლაინი"-ს შორის 2020 წლის 28 თებერვალს გაფორმებული № 55 ხელშეკრულებისა და თანდართული გეგმა-გრაფიკის თანახმად სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2020 წლის 28 თებერვალს და დასრულებულიყო 2020 წლის 27 ივლისის ჩათვლით. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ცენტრ ლაინი"-ს შორის 27.07.2020 წ., 27.08.2020 წ. და 17.09.2020 წ. განხორციელებული შეთანხმებების საფუძველზე სამუშაოების დასრულების ვადად განესაზღვრათ 2020 წლის 17 აგვისტოს, 17 სექტემბრის, ხოლო შემდგომ 29 სექტემბრის ჩათვლით ვადები.

ფაქტიურად სამუშაოები დაიწყო 2020 წლის 4 მარტს და დასრულდა 2020 წლის 02 ოქტომბერს კორექტირებული გეგმა-გრაფიკის დარღვევით, რაზედაც ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა წერილით N640 01.10. 2020წ.

შესრულებულ სამუშაოებზე აზომვები ხორციელდებოდა 10 მ-ანი ლითონის საზომი ლენტით (დაკალიბრების სერტიფიკატი №00328/2-20) და 60 მ-ანი საზომი ლენტით (დაკალიბრების სერტიფიკატი № 00322/2-20);

ყველა ფარული სამუშაოების მიღება განხორციელდა ეტაპობრივად და ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებზე გაფორმდა ფარული სახის სამუშაოს 48 აქტი. ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული შპს „ცენტრ ლაინი"-ის სამუშაოთა მწარმოებლის დ. ჩაჩანიძის და ჩემს მიერ.

ზედამხედველობის ინსპექტირების პერიოდში ობიექტზე შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმდა შეუსაბამობის ორი აქტი:

1) 26.05.2020 წ. აქტი N1 ბორდიურების ფუძე არ იყო მოწყობილი ბეტონით, მოხდა ბორდიურების ნაწილის დემონტაჟი ხელახლა მოწყობა ბეტონის საფუძველზე, სამუშაოები გამოსწორებული იქნა მითითებულ ვადაში;
2) 04.08.2020წ აქტი N2 ბეტონის კედელზე უხარისხოდ იყო მოწყობილი დეკორატიული რელიეფური ფილა, მოხდა რელიეფური ფილის დემონტაჟი და მისი მოეწყობა ხელახლა, სამუშაოები გამოსწორებული იქნა მითითებულ ვადებში.

ზედამხედველობის პროცესში ობიექტზე ივსებოდა ზედამხედველობის-ინსპექტირების ჟურნალი, რომელშიც დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების სახეები, მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებზე გადაღებულია 1432 ფოტოსურათი. ზედამხედველობის -ინსპექტირების ჟურნალი და ფოტოები ანგარიშს თან ერთვის.

მშენებლობის პროცესი წარიმართა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად, ვიზუალურად ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ინსპექტირების ანგარიშს თან ერთვის.

1. მე-8 პუნქტში მითითებული დოკუმენტები (ქსეროასლები);
2. ფარული სამუშაოს 48 აქტი;
3. შეუსაბამობის 2 აქტი;
4. ფოტომასალა - ელ. ვერსია მყარ დისკზე;
5. ზედამხედველობა/ინსპექტირების ჟურნალი - დედანი.

10. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82);
2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3);
3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 იანვრის დადგენილებაში №71);
4. QRT/IB/GP-7.1-1 ინსპექტირების პროცედურები.

ᲨᲞᲡ ᲥᲠᲘᲖᲝᲚᲘᲗᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ 404474065 ᲘᲜᲡᲞ./ᲔᲥᲡᲞ. №1 KHRIZOLIT LTD

დასკვნა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახალციხეში, ზურაბ დიდიმამიშვილის და მერაბ კოსტავას ქუჩის საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე 2020 წლის 04 მარტიდან 2020 წლის 02 ოქტომბრამდე განხორციელებული ზედამხედველობა-ინსპექტირების პერიოდში ობიექტზე შპს „ცენტრ ლაინი"-ს მიერ სამუშაოები სრულდებოდა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მონაცემების შესაბამისად, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზედამხედველობის ინსპექტორი: /ე. მღებრიშვილი/

ტექნიკური წესით გადაამოწმა
ტექნიკურმა მენეჯერმა: /ღ. რაზმაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: /მ. ახვლედიანი/

ინსპექტირების დაწყების თარიღი: **04.03.2020 წ.**
ინსპექტირების დამთავრების თარიღი : **04.10.2020 წ.**

ბ.ა.

შპს ქრიზოლითი
ზედამხედველობა
404474065
ინსპ./ექსპ.
№1
KHRIZOLIT LTD